



ქ.თბილისი, კოსტავას # 23  
ტელ.: (995 32) 551 993 992  
ტელ: (995 32) 2 998 993  
Email: [georgejibladze7@gmail.com](mailto:georgejibladze7@gmail.com)  
Email: [cgk975@gmail.com](mailto:cgk975@gmail.com)

საქართველოს პარლამენტთან არსებული  
აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ  
გაცემული, სერთიფიკატი № # ზაფ/011  
2012 წლის 25 იანვარი პროფესიონალი  
ბუღალტრის სერთიფიკატი # 0049,  
აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში  
რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-491208

## შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი“

**N 270**  
**15 ივნისი 2022 წელი**

### დასკვნა

#### ა.(ა).ი.პ სამოქალაქო აქტივობების ცენტრი

გაცნობებთ, რომ შეფასების პროცესი დაგეგმილი და განხორციელებული იქნა აუდიტორ - გიორგი ჯიბლამის მიერ

საფუძველი - აუდიტის მიზანია იმოქმედოს, როგორც დამოუკიდებელმა მხარემ. ანგარიშში მოცემული ფაქტების კონსტატაცია სამართლიანია და სწორი. აუდიტორის ანალიზი, მოსაზრებები და დასკვნები შემუშავებული და მომზადებულია შეფასების საყოველთაო სტანდარტებზე დაყრდნობით, შესაბამისობაშია ეთიკის კოდექსისა და ქვევის სტანდარტებთან. წარმოდგენილი ანალიზი და მოსაზრებები შეზღუდულია მხოლოდ გაცხადებული ვარაუდებითა და შემზღუდავი პირობებით და წარმოადგენს აუდიტორის პირადი, მიუკერძოებელი და ობიექტური პროფესიონალური ანალიზისა და მოსაზრებების შედეგს.

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია 2022 წლის 15 ივნისს რის საფუძველსაც წარმოადგენს ა.(ა).ი.პ სამოქალაქო აქტივობების ცენტრს (ს/კ 427716625) და შპს საკონსულტაციო ფგუფი კავკასაუდიტს შორის 2022 წლის 30 მაისს დადებული ხელშეკრულება.

ჩვენ მომსახურება შევასრულეთ მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტანდარტი 3000-ის მიხედვით („მგსს 3000“)

### **მხარეთა პასუხისმგებლობები**

ა.(ა).ი.პ სამოქალაქო აქტივობების ცენტრი (ს/კ 427716625) პასუხისმგებელია ზემოაღნიშნული, შესრულებული მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოწოდებაზე, ხოლო ჩვენ პასუხისმგებლები ვართ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დამოუკიდებელი დასკვნის გამოტანაზე.

### **აუდიტორის განაზიადი**

აუდიტორი ადასტურებს, რომ დასკვნაში გადმოცემული შედეგები ეფუძნება აუდიტორის ცოდნასა და გამოცდილებას. აუდიტორის შესასრულებელი სამუშაოს მიმართ რაიმე ინტერესი და აუდიტორის ანაზღაურება არ არის დამოკიდებული დასკვნაში მიღებულ რომელიმე სიდიდეზე. აუდიტორი არ იღებს პასუხისმგებლობას ეკონომიური, იურიდიული ბუნებრივი და სხვა ფაქტორების ცვლილებაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ამ თარიღის შემდეგ და გავლენა იქონიოს საბაზრო სიტუაციაზე და შესაბამისად შესაფასებელი სამუშაოს (მომსახურების) ღირებულებაზე.

### **ხელმძღვანელობისა და აუდიტის პასუხის მგებლობა**

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ბუღალტრული ჩანაწერები დაწარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. და მართებულ საფუძველს წარმოადგენს. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას

## დასკვნის საფუძველი

აუდიტის მიზანია იმოქმედოს, როგორც დამოუკიდებელმა მხარემ. ანგარიშში მოცემული ფაქტების კონსტატაცია სამართლიანია და სწორი. აუდიტორის ანალიზი, მოსაზრებები და დასკვნები შემუშავებული და მომზადებულია შეფასების საყოველთაო სტანდარტებზე დაყრდნობით, შესაბამისობაშია ეთიკის კოდექსისა და ქვევის სტანდარტებთან. წარმოდგენილი ანალიზი და მოსაზრებები შეზღუდულია მხოლოდ გაცხადებული ვარაუდებითა და შემზღუდავი პირობებით და წარმოადგენს აუდიტორის პირადი, მიუკერძოებელი და ობიექტური პროფესიონალური ანალიზისა და მოსაზრებების შედეგს. მარწმუნებელი გარიგებები გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის აუდიტისა და მიმოხილვის გარდა (მგსს 3000) სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვას დაჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, რომ შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ინფორმაცია არსებით უზუსტობებს.

საზოგადოების მიერ მომზადებული გასაწევი მომსახურების კორექტირებულ ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით ასევე ჩვენი დაქირავება მოხდა სიზუსტეში დარწმუნების მიზნით შემოწმების ჩატარების შესახებ საერთაშორისო სტანდარტის (3400) ქვეთავის „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმების“ შესაბამისად.

აუდიტის საგანი - ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება 2020 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამეურნეო - საფინანსო საქმიანობის და მასთან დაკავშირებული შემოსავლების, გასავლების და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

### სამუშაო შედეგობა და შემდეგი პროცედურებისაგან

- ა.(ა).ი.პ სამოქალაქო აქტივობების ცენტრი (ს/კ 427716625) ხელმძღვანელობასთან ფინანსური ინფორმაციის შედგენის საკითხების განხილვა;
- ა.(ა).ი.პ სამოქალაქო აქტივობების ცენტრი (ს/კ 427716625) ხელმძღვანელობასთან განსაზღვრული რისკებისა და დაშვებების სიის მიღება, რომლის საფუძველზეც მომზადდა ფინანსური ინფორმაცია;
- ა.(ა).ი.პ სამოქალაქო აქტივობების ცენტრი (ს/კ 427716625) ხელმძღვანელობასთან იმის გარკვევა, ფინანსური ინფორმაცია მომზადდა თუ არა მოცემული დაშვებებისა და რისკების გათვალისწინებით, ვეყრდნობით რა მხოლოდ ზემოთაღნიშნული პროცედურებით გათვალისწინებულ სამუშაოების ჩატარების შედეგებს ვთვლით, რომ ვარაუდები, რომელსაც ეფუძნება ფინანსური ინფორმაცია დასაბუთებულია;

- წარმოდგენილი იქნა საშემოსავლო და ქონების გადასახადის დეკლარაციები, ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, ანგარიშის ამონაწერი და საბუღალტრო პროგრამა ორისის მონაცემები

## ანგარიში

ანგარიშის შედგენის ადგილი - ქ. თბილისი

ანგარიშის შედგენის თარიღი - 15 ივნისი 2022 წელი

შემსრულებელი - გიორგი ჯიბლაძე

დამკვეთი ა. (ა). ი. პ. სამოქალაქო აქტივობების ცენტრი (ს/კ 427716625)

აფუძველი - ა. (ა). ი. პ. სამოქალაქო აქტივობების ცენტრს (ს/კ 427716625) და შპს საკონსულტაციო ფგუფი კავკასაუდიტს შორის 2022 წლის 30 მაისს დადებული ხელშეკრულება.

ანგარიშის შედგენის მიზანი - ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყდნობით გამოვთქვით მოსაზრება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამეურნეო - საფინანსო საქმიანობის და მასთან დაკავშირებული შემოსავლების, გასაღების და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

უდიტის მიზანი - დამოუკიდებელი აუდიტორის - გიორგი ჯიბლაძის მიზანია იმოქმედოს, როგორც დამოუკიდებელმა მხარემ.

ა. (ა). ი. პ. სამოქალაქო აქტივობების ცენტრს დაფუძნდა 2011 წლის 14 თებერვალს სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საიდენტიფიკაციო კოდი: 427716625

მისამართი: ქ. გურჯაანი, ი. ნონეშვილის ქუჩა №1

თავმჯდომარე/წევრი: გელა მთივლიშვილი, 13001008336

წევრი: ეთერი ფანგანი, 08101038676

წევრი: ეკატერინე წიწრიაშვილი, 20001017802

წევრი: ნინო მაზიაშვილი, 13001026922

წევრი: გიორგი მამულაშვილი, 13001056418

ხელმძღვანელობა / წარმომადგენლობა

აღმასრულებელი დირექტორი - ეთერი ფანგანი, 08101038676

გამგეობის თავმჯდომარე - გელა მთივლიშვილი, 13001008336

ორგანიზაციის ძირითადი მიზანია მედია პლატფორმის მეშვეობით მოსახლეობის ინფორმირება და სამოქალაქო სექტორის გაძლიერება, მიმდინარე პროცესების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიურად ჩასართავად.

საზოგადოება აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, იღებს მათგან გრანტებს საკუთარი მიზნების მისაღწევად და განხორციელებისათვის

## დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების შემოსავალმა რადიომაუწყებლობის განხრით გრანტის სახით შეადგინა 29,462 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საოპერაციო და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის გახარჯულია - 17,512.40 ლარი, მათ შორის:

N	ხარჯის დასახელება	თანხა
1	ხელფასი	7,844.51
2	ბანკის საკომისიო	34.19
3	ტრანსპორტირება	1,768.48
4	საწვავის შეძენა	769.08
5	ელ. ენერჯის	251.51
6	იჯარა	1,560.00
7	კვებითი მომსახურების ღირებულება	1,269.65
8	ინტერნეტ მომსახურება	170.00
9	დომენის ღირებულება	30.00
10	მივლინება	1,076.88
11	წიგნების ღირებულება	1,215.15
12	მარკირებისთვის მასალების ღირებულება	1,121.20
13	სხვა	401.75
	სულ	17,512.40

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების შემოსავალმა რადიომაუწყებლობის განხრით გრანტის სახით შეადგინა 20,220.70 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საოპერაციო და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის გახარჯულია - 31,902.50 ლარი, მათ შორის:

N	ხარჯის დასახელება	თანხა
1	ხელფასი	29,861.28
2	ბანკის საკომისიო	34.77

3	საწვავის შეძენა	1,745.71
4	სხვა	42.08
5	ელ. ენერჯის	168.66
6	იჯარა	50.00
	სულ	31,902.50

ყოველივე ზემოაღნიშნულიდანა გამომდინარე ა.(ა).ი.პ სამოქალაქო აქტივობების ცენტრის სამეურნეო - საფინანსო საქმიანობა შესაბამისობაშია მოქმედ საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე აქტებთან.

ჩემი აზრით დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მომზადებული ანგარიში უტყუარად და სამართლიანად ასახავს ა.(ა).ი.პ სამოქალაქო აქტივობების ცენტრის ფინანსურ მდგომარეობას და მის საქმიანობის შედეგებს პროექტების ფარგლებში

### **შიდა კონტროლის სისტემის შესახებ**

შიდა კონტროლის სისტემის შეფასება მოხდა უშუალოდ სამუშაოების მოცულობის განსაზღვრის მიზნით, რომელიც აუცილებელი იყო რათა გამოთქმულიყო მოსაზრება ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების სიზუსტის შესახებ. აუდიტის პროცესში შესრულებული სამუშაო არ ნიშნავს შიდა კონტროლის სისტემის სრულ და ყოვლისმომცველ შესწავლას ყველა არსებული სიტუაციის ან შეცდომის გამოვლენის მიზნით.

ორგანიზაციის და მისი შიდა კონტროლის მდგომარეობის შესახებ პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულების ხელმძღვანელობას.

შიდა კონტროლის საიმედოობის შეფასებისას ყურადღება გამახვილებული იქნა ამ სისტემის უნარზე გააკონტროლოს:

- ბუღალტერიაში არსებული სამეურნეო ოპერაციების რეალურობა
- ასახული სამეურნეო ოპერაციების სისრულე
- აქტივებისა და ვალდებულებების ადეკვატური შეფასება და კლასიფიკაცია
- ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების ადეკვატური შეჯამება და განზოგადოება

შიდა კონტროლის სისტემის საიმედოობის და კონტროლის გარემოს შესაფასებლად განხილული იქნა დაწესებულების სამეურნეო საქმიანობის შემდეგი მხარეები:

- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა
- ანგარიშების განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი არეები, სადაც მაღალია ბუღალტრული ანგარიშგების შეცდომის რისკი

- იმ თანამშრომელთა უფლებამოსილებების და ვალდებულებების განაწილება, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ანგარიშგების შედგენაში
- სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრულ რეგისტრებში ასახვის თანმიმდევრობა და ამ რეგისტრების განზოგადების ფორმები და მეთოდები

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტორული შემოწმების შედეგებს, დაწესებულების შიდა კონტროლის სისტემა ფასდება დამაკმაყოფილებლად.

დაწესებულებას გააჩნია დოკუმენტის სახით გაწერილი სააღრიცხვო პოლიტიკა, სადაც რეგლამენტირებულია აღრიცხვის ძირითადი პრინციპები, კომპიუტერული პროგრამების, დოკუმენტბრუნვის, თანამშრომელთა უფლებამოსილებების გადანაწილების, აქტივების დაცვის, ვალდებულებებისა და კაპიტალის მართვისა და სხვა კონტროლის პროცედურები. არსებობს შრომითი კონტრაქტები და თავმჯდომარის ბრძანებები, სადაც განსაზღვრულია დაქირავებულთა უფლება-მოვალეობები, რაც ავსებს შიდა კონტროლის სისტემას.

ნებისმიერი ჩვენი გაკეთებული დასკვნა ეყრდნობა ჩატარებულ აუდიტს, რომელიც განხორციელდა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კანონებისა და ინსტრუქციების მოთხოვნათა დაცვით და აუდიტის საყოველთაოდ მიღებული ნორმების შესაბამისად.

აუდიტორი

გიორგი ჯიბლაძე

